

Ana Kalandadze

Verses in Translation

Tbilisi 2025

Translated
by
Nana Bukhradze

Editors
Mr. P. Skinner
Mrs. K. Tomaradze

Computer services
Mr. I. Sheshelidze
Mr. P. Korkia

მთარგმნელი
ნანა ბუხრაძე

რედაქტორები
პ. სკინერი
ქ. ტომარაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი

ი. შეშელიძე
პ. ქორქია



*How should Anna leave undrunk
The poppy wine - merriment full?
It begins to gently rain
Gets bedewed a great plain.*

Anna Kalandadze

Foreword

The great wealth of Georgian poetry is all too little known abroad - and among the reasons is lack of knowledge of its traditions and development and the many challenges of making satisfactory translations.

This small volume presents 28 of the over 700 poems which the much-loved Ana Kalandadze wrote, but it is hoped that they indicate the breadth and depth of her sensibilities, her concision, and the power and delicacy of her voice.

Not least, it is also hoped that this volume will inspire others to undertake similar work with other of Georgia's many distinguished poets and help make their work reach the wider audiences that they deserve.

Peter Skinner

არსება ჩემი ნამივით ბალახებზეა ცვრეული

ანა კალანდაძის პოეზია სულთა შეხების მყუდრო ადგილია, სადაც ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან მარტო ორნი და კავშირი, რომელიც ამ ორთა შორის იბმება, უაღრესად პირადული, სხვათაგან დაფარული და მიუწვდომელია. პოეტისა და მკითხველის ეს პაემანი მკითხველისათვის ორი სამყაროს შეცნობით მთავრდება: პოეტის სულის შეცნობით მკითხველი აღმოაჩენს და შეიცნობს საკუთარ სულსაც, რომელსაც თურმე ცათაფრენა, ღვთაებრივთან მიახლოება სდომია და... არ სცოდნია, ან თუ სცოდნია, ვერ გამოუხატავს გულისთქმა, რომელიც პოეტის სულთან შეხებამ ცხადად აგრძნობინა:

„მე მივსდევ შენს ხმას,
ცათაფრენად რომელიც მიხმობს,
მე ვუსმენ შენს ხმას,
იდუმალსა, რომელიც მითხრობს...“
ამ, აბსოლუტურად მეტაფიზიკური, მაგ-

**My self-being is dew-like oversprinkled upon
the grass**

Anna.

Anna's poetry is a place – cozy for the souls to come into touch, where only two can face each other to contact through the bonds – highly private, covert and unattainable.

This convergence of the poet and the reader terminates for the latter with the cognition of two worlds: via fathoming the poet's spiritual world, the reader discovers and cognizes the soul of his/her own that happened to always strive to fly up high in the heavens or be in proximity to divinity... though having failed to acknowledge or externalize their own sacramental buried deep at heart:

‘I am after your voice

Who summons to hover up in the clouds,

I do hear it –

Enigmatic.... able to recount...’

These totally metaphysical though clear and non-enigmatic psalm-like cadenzas – their bibli-

რამ ცხადი, არაენიგმატური სტრიქონების ფსალმუნური ტონალობა, კადენციის ბიბლიისეული კილო სადად და ბუნებრივად ჟღერს ანას პოეზიაში:

„აჰა, სადგური შენთა სხივთათვის,
დიდო მნათობო, აჰა, სადგური!

დახდი ამ ქვაბსა, მარადიულო,
და დაიფარე ჩემი სანთური...

აჰა, სადგური შენთა სხივთათვის“

წერდნენ, რომ ანას ლექსები „რელიგიურ ჰიმნებს, ლოცვებს ჰგავსო“, ისინი „ადამიანის სულს ამშვიდებენ, აწყნარებენ, აკეთილშობილებენ“, განასახიერებენ „სულისმიერი სიმალლისა და უანგარობის იდეალს“, სავსებით საფუძვლიანია მათი მსგავსების აღნიშვნა ფსალმუნთან თუ საგალობელთან, მაგრამ მათი მიკუთვნება რელიგიური პოეზიის ამა თუ იმ ჟანრისათვის, კლასიკური გაგებით, არ იქნებოდა სწორი. მსგავსების შთაბეჭდილებას სულიერების ის შინაარსი ქმნის, რომელსაც ქრისტიანული ეთიკისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს: შინაგანი სიწმინდე,

cal mood – resound in Anna’s poetry as simple and natural:

‘Here, the refuge for thy rays,
Great Luminary, here the refuge!
Thrive in this grot, - You eternal
And spare me my Santuri¹....
Here, the refuge for thy rays’.

It is common knowledge that Anna’s poems have been seen to bear a clear semblance with ‘religious hymns’ which assuage or ennoble the soul as an embodiment of spiritual loftiness and integrity, that admittedly sounds quite apt. However, to comprise Anna’s poems as any of the religious genre – in classical sense – would be inadequate. It is noteworthy, that the impression of created affinity between Anna’s poems and religious hymns springs from the contents so much of definitive essence to Christian ethics: inner purity, calm, virtue, God lovingness... on their part, found effusive in her poems. Nevertheless, spirituality in her case is looked upon as all impregnating, ubiqui-

¹ Santuri - Georgian harp-like musical instrument.

სიმშვიდე, სათნოება, ღვთის სიყვარული...
რითაც მდიდარია ანას პოეზია. აქ სულიე-
რება ყველგან მსუფევი და ყველგან შემღ-
წევი მანათობელი სუბსტანციაა, ამასთანა-
ვე - მნეობრივი ვერტიკალიც.

და მაინც პოეზიაში (ანას პოეზიაშიც),
რომელიც გენეტიკურად და ონტოლოგიუ-
რად უეჭველად წარმართულია, სული მხო-
ლოდ სხეულთან ერთად არსებობს. პოეტის
ამ მრწამსზე ვერ ზემოქმედებს ბიოგრაფი-
ული ქრონოლოგია, რომელსაც გასდევს
რიტორიკული შეკითხვა: „რაა ციური, თუ
მიწასაც არ ექნა ძალი?“ სწორედ სულიე-
რისა და გრძნობიერის შერწყმა ქმნის ქვე-
მოთ მოყვანილი სტრიქონების მშვენიერე-
ბასა და სიმართლეს:

იმ ქვეყანაში წყალობა ღვთისა

გადაგვაფარებს კალთას ორივეს...

- ამქვეყნად მინდა მესროდე ისარს,

ფრთას მივათრევდე დაჭრილ გნოლი-
ვით

ამასვე ადასტურებს წინამდებარე კრე-
ბულში წარმოდგენილი ქართული პოეზიის

tous and luminescent a substance simultaneously being the vertical of morals.

Anna's poetry, as much as poetry by and large, genetically and ontologically is found heathen by nature, accepting the thought, that the soul exists jointly with the form. Upon this creed of the poetess there dominates no biographical consecution even when rhetorical and insistent a query is posed:

‘What is celestial in isolation from power of earth?’

Truly, when the spiritual and perceptible mingle – the truth and beauty comes to existence:

In the world beyond,
Mercy of God shall be upon us both.
Here... I'd rather thy arrow overtook me
To drag the wing like a partridge wounded.’

The same is confirmed in other masterpieces of Georgian poetry featured in other poems of the book such as – ‘What Am I, A Flute!’, ‘Sakartvelo, The Beautiful,’ ‘The Mulberry’, ‘You Art So Deep’, ‘Nino Was Coming By The Mountains’,

ისეთი შედეგები, როგორიცაა: „რა ვარ? სტვირი ვარ!“, „საქართველო ლამაზო“, „თუთა“, „შენ ისე ღრმა ხარ“, „მოდიოდა ნინო მთებით“, „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“, „ბოშა ქალი“, „თქვი, არჯაკელო ხვიარა“ და სხვ.

ანა კალანდაძის პოემის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი იმ ხიბლშიც არის, რასაც ქმნის, ერთი მხრივ, ცათაფრენად მხმობელი იდუმალი ხმის დევნა და, მეორე მხრივ, პოეტური აღიარება: „არსება ჩემი ნამივით ბალახებზეა ცვრეული“.

გუჩა კვარაცხელია



‘Was The Sun Shining As Now?’, ‘The Gipsy Woman’, ‘I Say, Arjakeli’s Ivy’ etc.

One of the essential appeals among the rest in Anna’s wondrous poetry that comes forth is also her pursuit of mystery, calling upon her to enjoy celestial delights next to her poetic confessions that introduce her self-being as a dew drop ‘oversprinkled upon the grass.’

Late Academician **Gucha Kvaratskhelia.**



Acknowledgments

This translation is a comprehensively revised version of my earlier endeavour to familiarise Anglophone readers with the appeal of Georgian poetry, choosing the work of the late Ana Kalandadze, one of the most beloved Georgian poets of the 20th century. As translator, I hope that the current work improves upon a number of passages in the previous version, in which the poet's voice did not come through as clearly and fully as I had hoped.

A gratifying number of friends and readers of the previous version have offered greatly valued thoughts and suggestions that have helped me to shape this revised edition. Besides to thanking them, I would also like to express my most profound gratitude to Peter Skinner, a long-time English friend of Georgia and Georgian culture, for his thoughtful responses to questions I have discussed with him.

Nana Bukhradze
Tbilisi, February 2025

* * *

ბაგით ყვავილის მტვერს ამოზიდავს
სუსტი ფუტკარი,
ზეცას მიაპყრობს თვალებს მუდარით,
მიესალმება მზეს მიმოზიდან...

1946



* * *

With his mouth, up will draw a flower's pollen
A frail bee,
Upon the heaven will he cast his eyes beggingly
And salute the sun from the mimozas.

1946



როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია!

ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე,
ქარებს აჰყვია
და წასულა შენგან, გაფრენილა შენგან,
მინას დაჰკონვია,
ისე გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა...
არ ვახსოვარ ალბათ, არ ვახსოვარ
ალბათ,
ჩემო მაგნოლია!
ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძვინვარე
ზღვათა
ტრფობა გაგვყოლია...
მიგვატოვონ მარად მათ, სამხრეთის
ქართა,
რალაც არ მგონია...

მაგრამ... გული მისი სხვათა, სხვათა,
სხვათა

უტყვი გამგონეა...

მე არ ვიცი, რატომ... არც შენ იცი,
რათა,

ჩემო მაგნოლია?

ო, ასეთი ნუთი, დაუბრუნებელი,

შენც ხომ არ გქონია?

დაბრუნდება ისევ, დაბრუნდება ისევ,

შენც ხომ არ გგონია?

მშვენიერი ზღვების, მშვენიერი მთების

ტრფობა გაგვყოლია...

როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა
შენთან,

ჩემო მაგნოლია!

1953

რა ვარ? სტვირი ვარ!

ეს სიხარულის ცრემლებია, როდი

ვტირივარ?

ქარი ჩამბერავს, ავმღერდები:

მე ხომ სტვირი ვარ

ქარში გაზრდილი, უგუნურთა

მოჭრილი მერე?

ხმით საამურით მპყრობი გულთა

ვუმღერი ველებს...

ატირებული მპყრობელი ვარ

შენი გულისაც...

იალალებით მობერილ ვარ

სიყვარულისად...

მხოლოდ შენს გულში მიპოვნია

ვანი სულისად...

What Am I? A Flute!

These are tears of joy, don't think

I'm crying!

The wind will breathe into me

And shall I sing: am I not a flute

Raised in the wind to be severed

By fools?

Winner of hearts, my brilliant voice

Sings to the valleys...

Of your heart

A weeping conqueror it is too...

From the open fields blown I am

Love to bear...

In your heart alone have I found

A refuge for this soul of mine...

მაგრამ... დახედეთ განჩინებას

ამა სოფლისას:

მეტყვი, სცდებო, პატარა ქალო...

შთამბერე, ქარო,

ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!

1945



But...behold the judgment of this world:

“Little woman, thou art wrong”...

O wind, breathe into me,

Just let the power of my feeling be seen!

1945



* * *

ცაშიც ცეცხლია, ვულკანებია
და შეტყორცნილი ჰეიზერები...
დედამინაზეც, დედამინაზეც
არეულია ყველა ფერები...
ფიჭვის ხეებმა, ფიჭვის ხეებმა
თვალთ აიფარეს მწვანე ხელები:
როგორ წითლდება, როგორ წითლდება
შიშველი ტანი ფიჭვების ხისა...
თვალთ აიფარეს მწვანე ხელები:
თვისი რჩეულის რცხვენიათ, მზისა,
რომ დაულვრია ცაზე, მინაზე,
მენამული და ძონის ფერები...
ცაშიც ცეცხლია, ვულკანებია
და შეტყორცნილი ჰეიზერები.

1958

* * *

Even in the skies are fires, volcanoes
And borne-up geysers ...
All colours are mingled
On the earth too, on earth...
The pine trees, the pine trees
Cover their eyes with their green hands:
Oh, the naked bodies of the trees of pine —
Growing so red ...
Bashful they feel before the sun, their elect
Who spills his scarlet and garnet
In the skies and on the earth ...
Even in the skies are fires, volcanoes
And borne-up geysers...

1958

* * *

მე შევფრფვინავდი ყოველ გამვლელს
ატმის ხესავით –
ზიარებოდა ჩვენს სიხარულს ვინმე
მესამე...
ატმის ხესავით ვერ ვმაღავდი
ვარდისფერ ყვავილს
და თავი ჩემი ხეთა შორის საცნაურ
ყვავი...
და უმაღლესი ნეტარება გამიქრა
მწველი
და ლაფში გდია ვარდისფერი
ზმანება ჩემი!

1969

* * *

Like a peach tree, I greeted joy to every
stranger

That some third one would share our
happiness...

Like a peach tree, my rosy blossom I
couldn't but manifest

And made the trees all around aware
of myself...

Lo, the bliss – supreme and burning –
is vanished...

And in the gutter it lies, this rosy dream of
mine!

1969

ბოშა ქალი

და რა ქალი?! ხელისგულით
სატარები...
რა თვალები?! ელვის ცეცხლის
დამჭერი...
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები...
შეხედეს და... შეუკუროთხეს გამჩენი...
მეზღვაურებს გამომწვევად გვერდს
აუვლის,
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური:
– მხოლოდ ერთხელ მაკოცეო,
სულიკო!..
ეს პანია, სიყვარულის დოსტაქარი,
განა დარდობს, თვალებს ცრემლით
იოსებს?
მხიარული, ფეხშიშველი ბოშა ქალი
სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე...

1946

A Gypsy Woman

O what a woman, wowing all...
What eyes, that flash with lightning blaze ...
The Gypsy woman, to the stars be likened ...
Gazed upon and cursed,
She walks teasingly around the sailors
And answers back if a word to her is said ...
Arms parted, a sailor blocks her way...
'Just one kiss, sweetie!'
This little artisan of love
Couldn't care less! Free from tears –
The Gypsy woman glows with a smile and,
barefoot,
Walks her way whistling along the harbour
bank...

1946

საქართველო ლამაზო

“სხვა საქართველო სად არი”

გრ. ორბელიანი

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძენნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველო ლამაზო,
“სხვა საქართველო სად არი”
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა – არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი, დიდება,
“სხვა საქართველო სად არი?”

Sakartvelo,¹ The Beautiful

Can Sakartvelo elsewhere be?

by Gr. Orbeliani²

The wind sings to you a lullaby,
The plane tree tells you a fairy tale ...
The willow's caresses smother me
Though with jealousy I was ill ...
Sakartvelo, the beautiful!
Can Sakartvelo elsewhere be?
Lustrous is the sky with stars,
The sky knowing no match ...
When the moon bejewels the sky,
The heart is ready for flight ...
Glory, glory to you,
Can Sakartvelo elsewhere be?

¹ The Georgian name for Georgia.

² Gr. Orbeliani (1804-1883) - One of the most distinguished Georgian romanticists and public figure; the great grandson of King Erekle II.

მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში – ტყე დანაბინდები,
ტყეში – ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ, მოსილო დიდებით,
“სხვა საქართველო სად არი?”
ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე – თოვლი მარადი,
ვენახზე – მზე და ბადახში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
“სხვა საქართველო სად არი?”
როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...

These fields of Kartli¹, these fields,
The broad-shouldered ridges around...
The woods twilit among the hills,
The branch-antlered deer abound...
The lowlands rustle from the plane tree
Birds sing songs to the sun...
The country clothed in glory is you
Can Sakartvelo elsewhere be?
The blue grass sways shoulder high,
The quail walks daintily in the grass...
On Tetnuldi's² peak – eternal snows,
The vineyards – dappled with rubies and
the suns...

Who's seen another place like her?
Another Sakartvelo, – where on earth?
When the stars are noisily ablaze in the sky,
The cliffs heaven's light caught

¹ Kartli, the central region of Georgia (where Tbilisi is located) is named after the Karts, the prominent tribe living there.

² Tetnuldi: mountain peak (4853 m) in the region of Svaneti.

კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
“სხვა საქართველო სად არი?”
აქ დაიბადა “სულიკო”,
მზისკენ გაფრინდა “მერანი”...
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელაი?
აქ დაიბადა “სულიკო!”
მზისკენ გაფრინდა “მერანი”...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
დაბლა შრიალებს მოლისებრ
ყანაი გაუყელავი...
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...

Will crash the sea...
The auroch startles in the rocky mounts,
The peach sheds a tear in Gori,¹
And poppies you cannot walk round,
Can Sakartvelo elsewhere be?
Here is the birthplace of Suliko,²
Merani³ has flown away to the suns...
And if the foe trespassed our land
Aluda⁴ smote off his right hand,
Where would Lela⁵ let him go?
Here is the birth place of Suliko,

1 Gori - a city in eastern Georgia, serves as a regional capital of Shida Kartli.

2 Suliko: verse by A. Tsereteli that has become a Georgian national song from the day it was published in 1895.

3 Merani: a poem by the Georgian romantic, N. Baratashvili, which takes its name from the Georgian mythological stallion symbolizing creative energy and strong national character, the Georgian Pegasus.

4 Aluda: protagonist in Vazha-Pshavela's poem 'The Guest and the Host.'

⁵ Lela: the heroine in the work of Vazha-Pshavela, 'Bakhtioni,' remarkable for her willingness to lay down her life for the freedom of Georgia.

მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძენნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
სხვა საქართველო სად არი?

1945



Merani has flown away to the suns...
The mountains have grown eagles' wings,
The kite soars high in the skies,
Below, a carpet of wheat swishes unreaped...
Onise¹ is weary of thoughts,
To Bakhtrioni² Lela sallies forth...
The mountains have grown eagles' wings
The kite soars high in the skies...
The wind sings to you a lullaby,
The plane tree tells you a fairy tale...
The willow's caresses smother me
Though with jealousy I was ill...
Sakartvelo, l a m a z o,³
Can Sakartvelo elsewhere be?

1945

¹ Onise: hero of A. Kazbegi's work, known for his philosophical struggle to cope with life's 'sea of troubles.'

² Bakhtrioni: a feudal fortress in Kakheti (Eastern Georgia), XVIIth century. 39

³ lamazo - the Georgian for beautiful.

* * *

ზღვისეულია შენი ნალველი,
კვიპაროსისა – ლურჯი საროსი,
ოლენდრების და მაგნოლიის...
– არც ზღვის,
არც მთვარის,
არც... კვიპაროსის!

1974



* * *

Thy sadness is of the sea,
The cypress – the blue sea,
Oleanders and the magnolia...
– Not of the sea,
Nor of the moon,
It's even of no cypress ... see!

1974



ელსინორში

კვლავ ამაყად დგას ძველი სასახლე,
გაუხუნარი კვლავ ადგას ჯილა...
შორს... ცისფერია შვეციის ზოლი,
ალბიონია ნისლების მიღმა...
სასახლის ირგვლივ შემომდგარ წყალზე
ჭადრის ფოთლები მიმოფენილან...
განმარტოებით ჩანს ორი გედი –
ჰამლეტის სული და ოფელიას...
და ყოველ ღამით ერთი მათგანი
გარდაისახვის, თვის სახეს იცვლის,
ამ ვიწრო ხიდთან თვის მამის აჩრდილს
დაელოდება დანიის პრინცი...
– ო, შვილო ჩემო, უკეთურება
ისევ ატარებს კეთილის ნიღაბს?
შორს ცისფერია შვეციის ზოლი,
ალბიონია ნისლების მიღმა...

1961

In Elsinor

Still proudly stands the old castle,
A coronet still hangs upon it unfaded...
Far off ... blue is the Swedish shore
And beyond, the fog lifts over Albion...
Around the palace, on the water,
The plane tree has scattered her leaves...
Two swans glide in solitude –
The souls of Hamlet and Ophelia...
And each night one of these
Transforms, with features new.
By this narrow bridge, the Prince of Denmark
Of his parent awaits the ghost...
– O my son, doth Vice
Still wear the mask of Virtue?
Far off...blue is the Swedish shore
And beyond, the fog lifts over Albion...

1961

* * *

იყალთოს კედლებს ადგას ნათელი:

აქ მოღვანეობდნენ დიდნი

ქართველნი...

დღესაც გვირგვინი გვახურავს მათი...

აქ ყურს ესმოდა ძვირფასად მკული

ტკბილი ქართული – ცხოველი გული

ჩემი ქვეყნისა და შარავანდი!

1956



* * *

The light hovers over the walls of Ikalto¹:
A place encompassing the labour of great
Georgians...
Even today we wear their crown...
Here was heard the luxuriant
Ennobling beauty of the Georgian
language –
My country's
Vital heart and halo brilliant!

1956

¹ Ikalto: a monastery complex in Eastern Georgia dating from the XIth-XIIth. Ikalto was an important academic and cultural center.

თავბრუდამხვევი ჩამოდის ფლორა

ეს გაზაფხულის გზა არის თეთრი,
შორს რომ იწყება, ვარსკვლავთა შორის,
და ყვავილების ლამაზი ეტლით
დედამინაზე ჩამოდის ფლორა...
იფარებიან ლურჯი ბუჩქები
რალაცნაირი ყვავილის ფერფლით
და გაზაფხულის მზე დიდებული
ვარდებისათვის აღვიძებს ზეფირთ:
მათაც იქ სძინავთ, ვარსკვლავთა შორის...
თავბრუდამხვევი ჩამოდის ფლორა.

1958

Intoxicating Flora Descends To Earth

This spring's path is white,
Far amidst the stars making its begining,
And in fair flower chariot
Descends Flora to earth...
The blue bushes cover themselves...
With unearthly flower ash
And the glorious sun of spring
For roses awakens zephyrs:
They too sleep here, amidst the stars...
Intoxicating Flora descends to earth.

1958

* * *

ვიტეს ტაძარში, ო, წმინდა ვიტეს,
მძიმე ორღანო დუმს მალაქიტის...
და ხორცშესხმული სული ძლიერი
აქ ყალმით დადის ვენეციელი
და დიდებული ამ კედლებს ხატავს...
ვიტეს ტაძარში, ო, წმინდა ვიტეს,
მძიმე ორღანო დუმს მალაქიტის.

1956



* * *

In St Vitus's cathedral, O St Vitus's,
The heavy organ of malachite stands reticent...
And the embodied vigorous soul of
the Venetian
Walks here brush in hand
And, magnificent, he paints these walls ...
In St Vitus's cathedral, O St Vitus's,
The heavy organ of malachite stands reticent.

1956



* * *

მე შენ დაგხურავ ლამაზ გვირგვინს
და მით მინიერს
ჩემს საიდუმლოს გაზიარებ,
ო, ფიქრთა ჩემთა...
მე ავმალღები შენს ლურჯ ცაზე,
შენთვის ვიბრწყინებ,
აღვინთები და დავშრტები შენდა!

1956



* * *

I shall place upon you a beautiful wreath
Into earthly secrecy –
O into my thoughts to initiate ...
The blue of thy sky shall I ascend
To twinkle for you
Blaze and burn into cinders!

1956



* * *

რომი, გენუა, პიზა, ვერონა...
არნოს მინდვრებზე ფოთლების ცვენა...
მინის ქვეშ – ლეტა და აქერონი...
”გრაცია პლენა”, “პლენა გრაცია”...
კოლიზეუმი ძვლებს ითბობს მზეზე...
ვეზუვს გვირგვინი შემოძარცვია...
ო, ვეროკიო და ვერონეზე...
“გრაცია პლენა”, “პლენა გრაცია”.

1960



* * *

Rome, Genoa, Pisa, Verona ...

In the Arno's fields, the falling of leaves ...

Beneath the ground – the Leta and

the Acheron ...

'Grazia plena,' 'Plena grazia'...

The Colosseum warms his old bones

in the sun ...

Vesuvius has worn out her crown ...

O Verrocchio and Veronese ...

'Grazia plena,' 'Plena grazia'.

1960



* * *

აი, ეს ჩემი ვარდის კარავი,
შიგ – გაზაფხულის ლამაზი სუნთქვა...
აქ მინიური დგას სიხარული –
მარადიული სამკვიდრო სულთა...
ჰა, გაზაფხულის ხატი, იისა...

1970



* * *

See the rose tent of mine,
Inside – the sweet breath of spring ...
An earthly joy lodges here –
The eternal place for souls to dwell ...
Lo, the spring icon of violets...

1970



აქ საუფლოა მთვარი

აქ თეთრი ვარდი ცხოვრობს
და მაგნოლია მარტო...
და... ჩუმი ავოკადო...
და... ზღვის ტალღები თვლემენ...
აქ ზეფირია წყნარი,
ვარდებთან მოუბარი,
აქ საუფლოა მთვარის
და თეთრი ქრიზანთემა...

1953



Here Is The Realm of The Moon

Here abides the white rose
And nobody but the magnolia ...
And ... the quiet avocado
And ... the sea waves slumber...
Here is the gentle zephyr –
Communing with the roses,
Here, the realm of the moon
And the white chrysanthemum...

1953



* * *

ყვავილების ღამე
საიდუმლოს მქონე,
ქალბატონო ანა,
აღარ გახსოვთ, მგონი...
მობრიალე სანთლებს
გზაი ჰქონდათ შორი...
ქალბატონო ანა,
დაგავინყდათ, თორემ...
მაშ... დუმილი რაა
ხანგრძლივი და მწველი?
– გულგატეხისაგან
დამცველია ჩემი!
– ძველ ციხეზე, მაღლა,
თეთრ ღრუბელთა ბოლოთ,
არ ავიდეთ?
– დიახ,
გაზაფხულზე მხოლოდ!

1965

* * *

– The night of flowers
With secrets pregnant...
– Lady Anna,
You might not remember...
A long way to come had the blazing candles...
Lady Anna,
You've forgotten me, otherwise...
Why this silence
So long and burning?
– Just disheartening
To escape!
– Shan't we climb
To the old castle – up there,
At the end of the white clouds?
– We shall,
In spring only!

1965

59

* * *

ჭრელი პეპელა ყვავილების ბანგით
დაითვრის
და გულს გაუშლის საალერსოდ სიოთ
სალბუნთა...
ო, შენც... ვინ იტყვის, ჩემო კარგო,
ო, ვინ დაითვლის,
დღეს მერამდენჯერ გადაშალე უკვე
“დავითნი”,
წიგნი ფსალმუნთა,
სულის საამოდ?

1945



* * *

From the soporific of flowers intoxicated,
A motley butterfly will seek caresses
of breezes warm...

O who can tell, my dear, O who can count,
How many times today, have you too opened
the book by David –

The Psalms –

Pauring balm upon your soul?

1945



თუთა

ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი...
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი...
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი...

1945



The Mulberry

The mulberry almost bursts into my home,

He almost strokes my hair...

He calls me and winks to me, always

Magnificent, the tree of emerald green ...

What whispers reach my ears!

What whisperings!.. glowing, burning ...

The mulberry is almost in my home,

Of my waist he almost takes hold...

1945



შენ გგონია, რომ მოვიდა იგი?

შენ გგონია, რომ მოვიდა იგი?

ჩემი კაბაა, რომ საუბრობს სამხრეთის
ქართან...

შენ გგონია, რომ მისი ხელი შეეხო ჩემს
თმებს?

ო, აკაციის ყვავილია, ყვავილი მარტო...
ათრთოლებული მისი ხელი მომორდა
ჩემს თმებს?

ო, არა, იგივე ყვავილია თმებზე
ნათოვი –
წაიღო ქარმა, ნაპრალებში წაიღო
ქარმა

და ღამეებთან უსასოოდ მარტო
დატოვა!

1950

You Think That He Has Come?

You think that he has come?

It's only my dress conversing with the

south wind ...

You think his hand has touched my hair?

O it's an acacia flower, only a flower...

Has his trembling hand left my hair?

O no, it's the flower again snowed

on my hair –

The wind took her, – off to the furrows the

wind took her

And, past hope, left with the nights alone!

1950

რალაც მეწყინა შენგან, შროშანავ...

რალაც მეწყინა შენგან, შროშანავ,
უსიამოვნოდ რალაცამ გამკრა...
და ყველაფერი გაქრა ჩემს ირგვლივ,
ო, ყველაფერი უეცრად გაქრა...
ალბათ, გგონია, მშვენიერებას
მე გულს გავუხსნი ყოველთვის
მაინც?...

მალე დაგვტოვეს მზის ფერიებმა,
შენ ეშმაკებმა წაგიღეს აიღს...

. . .

რალაც მეწყინა შენგან, შროშანავ....

1958

You Have Somehow Hurt Me, Lily...

You've somehow hurt me, Lily,
Something unpleasantly stirred in me ...
And everything vanished around,
O everything – at once...
Perhaps, you still think my heart too beauty
I will always hold open?
Soon the sun-fairies left us
And the devils took you to Hades...
...
You've somehow hurt me, Lily...

1958

მოდიოდა, ნინო მთებით

“ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა ჟამსა”

ნინო

ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ
ნისლში ჰხვევდა...

და, როდესაც ბარში ვარდნი

ჰყვოდნენ,

თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა

და ტყეებში ქარიშხლები ბლადნენ...

მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა

და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა

ქარი...

მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა,

Nino¹ Was Coming By Mountains ...

‘I alone remained in the rose thorns,
as the time had arrived for the rose
and almond to blossom.’

Nino.

The wind shrouded the summits in
a milky fog ...
And when roses bloomed in the low lands,
Snow lay on Javakheti's² mountains
And in the woods bellowed the tempests ...
Screaming, after the clouds the wind
was screaming

¹ Nino: St Nino, a holy slave woman from Cappodocia, responsible for converting Georgia to Christianity.

² Javakheti: a region in southern Georgia, bordering on Turkey.

და მოჰქონდა სანატრელი ვაზის

ჯვარი...

თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო

მგზავრი, –

ვის უნახავს ვარდობისას თოვლი

მთებზე?

მწყემსსა ჰკითხა:

– რომელია ქართლის გზაი?

მწყემსმა უთხრა:

– საქართველო არის ესე...

მიეძინა... ერთ ნალკოტში მიეძინა

და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს: ო,

ეს ვინ არი, გამოცხადდა

მგზავრის წინა?

“ნუ გეშინინ!” – მიუგებდა იესო...

გაელვიდა... ნუთით იგრძნო

მშობლის სევდა,

მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?

თოვლი იღო ჯავახეთის მთათა ზედა

და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...

1945



She awoke... for a moment felt
a parent's sadness,
But was she not so bound by faith?
Snow lay on Javakheti's mountains
And in the woods bellowed the tempests...

1945



შეყვარებული ოდეს ქარები

იასამანი სველ კიბებთან
რაზე ფიქრობდა?
მისი გაძრცვილი რტო, უყვავილო,
ქარს არ მიჰქონდა...
გულდახურული მისი რტოები
თავს ძირს იხრიდნენ...
შეყვარებული ოდეს ქარები
მუხლს არ იყრიდნენ...
უკვე ზიზლი და სიცივე კრთოდა
მათი თვალებით...
როგორ გულგრილად,
ო, რა გულგრილად
ქროდნენ ქარები...

1954

The Once Love-Sick Winds

Of what was the lilac by the wet steps

Thinking?

Her stripped, flowerless sprays

The wind wouldn't twirl...

Heavy-hearted, they kept the heads

drooping...

The once love-sick winds

Dropped no courtsey...

Their gaze flickered

Already contempt and the cold...

Nonchalance, O what nonchalance

Breathed the winds...

1954

რა ამბავია ყვავილთ სასახლეს?

ანა დედოფალი ბესიკს

რა ამბავია ყვავილთა სრასა?
გაუთავები გლოვა აქვს ვარდსა...
ულალატებენ ციურნი ძალნი,
ო, ამ მზაკვრობას დახედე მათსა –
ესოდენ ამაყს მეფურ ღირსებით
დაავიწყებენ თვის განრისხებას,
ისევ მისცემენ ქარაფს ტიალსა:
მოანატრებენ შენსა ტრფიალსა
(არ დაცხრებიან ცეცხლთა მატებით),
ო, შენსა ხილვას მოანატრებენ!
თვის სასახლეში გიხმობს ისევე
“წყალობიანად მომცემი შვების”...

What's Happening In The Palace Of Flowers?

To Besik from Queen Ana

What's happening in the palace of flowers?
The lament of the rose knows no end...
The heavenly forces're betraying her,
Just see how they've betrayed her –
So proud and full of queenly dignity –
At the grievance she bridles
And comes to the cursèd cliffs again:
For your love she yearns
(The flames are relentlessly fed),
She thirsts to see you again!
Oh! to her palace is she calling you
Graciously to give solace...
Art thou not intending again to praise,

არ მოიხსენებ ისევე ქებით,
ისევე დიდებით არ მოიხსენებ
შენსა დედოფალს, “შაშვსა შავიანს?”
რა ამბავია ყვავილთ სასახლეს,
რა ამბავია?

1960



Again to glorify the queen of thine,

‘the blackbird?’¹

What’s happening in the palace of flowers,

What’s happening?

1960

¹ The Blackbird: lyric by the Georgian XVIIIth century poet Besik Gabashvili. The “blackbird” is one of his well-known metaphors for a dark beauty.

და მზეც რვალისა

შენ თუბალი ხარ, გაქვს მარჯვენა

უმრეტი ძალით ...

მჭედელთა წესით

გრძნეულ მინაზე ცადამწვდენი

დააგზნე ცეცხლი –

გამოგეჭედა ქვეყნად პირველს რკინა

და რვალი ...

შენ თუბალი ხარ, ო, შავთვალა შენ ხარ

თუბალი ...

კავკასიამდე უუშორეს მანძილს

გაივლი ...

მოხვალ, ჭოროხზე ემკვიდრები რკინის

უფალი

და ხელობა მოგაქვს კაინის ...

And The Sun Of Bronze...

Thou art Tubal¹ and thy hand is of unfailing
strength...

By the law of forgermen on a magic land you
ignited a fire

Reaching to the heaven –

And worked the first iron and bronze in the
world.

Thou art Tubal, O dark eyed, thou art Tubal.

To reach Caucasus, you walked the longest
way:

King of iron, you settled by the Chorokhi² –

And spread occupation of Caen...

1 Tubal, known as the father of the Caucasian Iberians – ancestors of the Georgians (Kartvelians), well-acquainted with blacksmith's work. The name also appears in W.Shakespeare's 'The merchant of Venice'.

2 Chorokhi river: a river in the southwest of Georgia.

ქოხი ააგე და მზრუნველად დახურე
ისლით ...

მიჰკიოდი მთაში ირემსა ...

ჰაუ, იბერსა

შენ თვალები მოგნონდა მისი!

პირველი აფრა გაუშალე ნიავექარს

სახილველად უცხო მხარისა ...

და მზეც რვალისა

მკვირცხლ მისდევდა უცხო იალქანს...

1946

Built a hut – carefully roofed with the
sedge ...
And chased the deer in the mountains...
‘HOOW!’...

Iberian¹ thyself,
You took delight in his eyes!
To light breezes
You unfurled the first sail
Towards beholding the unknown lands...
And the sun of bronze
Tagged nimbly along the wondrous sail...

1946

* * *

- თქვი, არჯაკელო ხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
- რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია რა ...
- მეც სხვათაშორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა ...

1954

* * *

– I say, Arjakeli¹ Ivy,

Who passed along the Ksani²?

– I dunno, ... was thinking of clouds...why?

– Em, nothing particular, I too, was just

asking –

Just asking...

1954

1 Arjaka - One of the town Tsalka's Municipality villages, Georgia.

2 Ksani - a river to the south of the Caucasus.

ასეთი დარი თუ იყო მაშინ

მზე აინია თითის ნვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან ...
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა ...
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

1965

Was The Sun Shining As Now?

The sun rose on his tiptoes,
The sun peered down into the sun's town,
At the Nari¹ Fortres –
Stood Tbilisi
Like Erekle² – belligerent...
In wild dance, in the wind,
The clouds plied to the mountains tinged
with stone of azure...
Was the sun shining as now
When Tbilisi was ravaged by Persians?

1965

¹ Nari: fortress in Tbilisi built by Persians in the XXIIth-XIIIth centuries.

² Erekle:II, the last king of Georgia (1720-1798).

* * *

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ ...

სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად
შემოსულმა

ვერავენ ნახა:

ვერცა ოსმალომ, ვერცა მონლოლმა
და ვერცა სპარსმა ...

შენი დიდების მომღერალთა

ოშკი და ზარზმა,

ბებერი ტაო ...

შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო ...

1945

Thou Art So Deep...

Thou art so deep, Georgian sky,
Thou art so deep...
Those who arrived meaning harm
No root were able to take beneath thee...
Neither Osman¹ nor Mongol
Nor Persian...

The singers of thy glory
Are Oshki and Zarzma²
And ancient Tao³...
Thou art so deep, so pure,
O Georgian sky...

1945

1 Osman: Georgian name for Ottoman'

2 Oshki and Zarzma:Georgian Churches located inTurkey

3 Tao: former territory of Georgia taken under the Ottoman empire in the XVIth century.

* * *

ნუშის ხე მორჩილი ტანის,
ფაქიზად გაზრდილი მღვიმეს,
როგორც ეს სარკინეს მთაა,
ცივი ეგონება ვინმეს...
გინახავთ, ვით ხვდება იგი
სხალტბიდან გადმოჭრილ ქარებს?
ო, ყოვლად ძლიერო ქარო,
თუ გიყვარს, უთხარი ბარემ!

1954

* * *

Raised in solicitude nigh by a cave,
A tree of Almond of small stature –
Allegedly lacks in heartiness –
As this Mount Sarkine¹,
Have you even seen in what manner she meets
The winds penetrating from Skhaltba?²
O almighty wind, –
If in love, – just tell her!

1954

1 Sarkine: An iron rich mountain near Mtskheta

2 Skhaltba: a village near Mtskheta

სარჩევი

*** (ბაგით ყვავილის მტვერს...)	16
როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია!	18
რა ვარ? სტვირი ვარ!	22
*** (ცაშიც ცეცხლია, ვულკანებია)	26
*** (მე შევფრფვინავდი ყოველ ...)	28
ბოშა ქალი	30
საქართველოო ლამაზო	32
*** (ზღვისეულია შენი ნალველი)	40
ელსინორში	42
*** (იყალთოს კედლებს ადგას ...)	44
თავბრუდამხვევი ჩამოდის ფლორა	46
*** (ვიტეს ტაძარში ...)	48
*** (მე შენ დაგხურავ ...)	50
*** (რომი, გენუა, პიზა, ვერონა...)	52
*** (აი, ეს ჩემი ვარდის კარავი)	54

Index

*** (A frail bee)	17
I Long So, So Much To Be With	
You, My Magnolia!	19
What Am I? A Flute!	23
*** (Even in the skies are fires, volcanoes)	27
*** (Like a peach tree...)	29
The Gypsy Woman	31
Sakartvelo, The Beautiful	33
*** (Thy sadness is of the sea)	41
In Elsinor	43
*** (The light hovers over ...)	45
Intoxicating Flora Descends To Earth	47
*** (In St Vitus's cathedral ...)	49
*** (I shall place upon you...)	51
*** (Rome, Genoa, Pisa, Verona...)	53
*** (See the rose tent of mine)	55

აქ საუფლოა მთვარის	56
*** (ყვავილების ღამე)	58
*** (ჭრელი პეპელა ...)	60
თუთა	62
შენ გგონია, რომ მოვიდა იგი?	64
რალაც მენყინა შენგან, შროშანავ...	66
მოდლიოდა, ნინო მთებით	68
შეყვარებული ოდეს ქარები	74
რა ამბავია ყვავილთ სასახლეს?	76
და მზეც რვალის	80
*** (თქვი, არჯაკელო ხვიარა,..)	84
ასეთი დარი თუ იყო მაშინ	86
*** (შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,..)	88
*** (ნუშის ხე მორჩილი ტანის,..)	90



Here Is The Realm of The Moon	57
*** (The night of flowers)	59
*** (From the soporific of flowers)	61
The Mulberry	63
You Think That He Has Come?	65
You Have Somehow Hurt Me, Lily... ..	67
Nino Was Coming By Mountains	69
The Once Love-Sick Winds	75
What's Happening In The Palace	
Of Flowers?	77
And The Sun Of Bronze... ..	81
*** (I say, Arjakeli Ivy,..)	85
Was The Sun Shining As Now?	87
Thou Art So Deep... ..	89
*** (Raised in solicitude nigh by a cave,..).....	91

